



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 37

30/03/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის
სამუშაოს აღწერილობის ფორმისა და მოსამსახურეთა სამუშაოს აღწერილობის
(თანამდებობრივი ინსტრუქციების) დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ პუნქტის, საჯარო სამსახურის შესახებ კანონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების შესაბამისად. ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1.

დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამუშაოს აღწერილობის ფორმა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მეხელეთა სამუშაოთა აღწერილობები (თანამდებობრივი ინსტრუქციები) №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10 დანართების შესაბამისად.

მუხლი 3.

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების სამუშაოთა აღწერილობების (თანამდებობრივი ინსტრუქციების) დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 ნოემბრის ბრძანება № 357.

მუხლი 4.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7).

მუხლი 5.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

ნ. ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო